# კონკურსის „ასწავლე ფინანსები ლიტერატურით“ ფარგლებში ჩატარებული აქტივობის წარდგენის ფორმა

ფინედუ

## სოფელ კარბის საჯარო სკოლა

| ინფორმაცია ჩატარებული ღონისძიების შესახებ | |
|---|---|
| **სეგმენტი** | **მოსწავლეები** |
| **კლას(ებ)ი, რომელშიც ჩატარდა აღნიშნული ღონისძიება** | მე-7 კლასი |
| **მხატვრული ნაწარმოები (დასახელება, ავტორი), რომელიც განიხილეთ მოსწავლეებთან ერთად** | სულხან-საბა ორბელიანი „გლახაკი და ქილა ერბო“ |
| **ფინანსური განათლების თემები, რომლებიც განიხილეთ აქტივობის ჭრილში**<br><br>*(მაგალითად, დაზოგვა, ბიუჯეტირება, დაზღვევა. თემებზე დეტალური ინფორმაციისთვის ეწვიეთ ფინედუს ვებგვერდს)* | ფული;<br>პირადი ფინანსების მართვა.<br>ბაზარი;<br>ინვესტიცია; |
| **სწავლების მეთოდ(ებ)ი, რომელიც გამოიყენეთ ლიტერატურის განხილვისას. ახსენით რატომ შეარჩიეთ ეს მეთოდები**<br>*(მაგალითად, კვთებითი სწავლება, შემთხვევების განხილვა, დისკუსია, როლური თამაში და სხვა)* | აღნიშნული ლიტერატურის განხილვისას მოსწავლეებს შევთავაზე სხვადასხვა აქტივობა: გონებრივი იერიში, პროვოცირება, დისკუსია, კომიქსების გაკეთება, დიორამას შექმნა, როლური თამაში, პრეზენტაციები, ინტეგრირებულ გაკვეთილში ჩართვა, სქემების შევსება, რათა უფრო მრავალფეროვნად განგვეხილა სულხანის იგავი , ჩავწვდომოდით ავტორის სათქმელს, ასეთი მეთოდების გამოყენებით მოსწავლეები აქტიურად იყვნენ ჩართული საგაკვეთილო პროცესში, გამოავლინეს შემოქმედებითი უნარები, განუვითარდათ აზროვნებისა და დაკვირვების, სიტუაციის ანალიზის უნარები. |

კონკურსის „ასწავლე ფინანსები ლიტერატურით“ ფარგლებში
ჩატარებული აქტივობის წარდგენის ფორმა

ფინედუ

| | |
|---|---|
| **აქტივობის აღწერა**<br>*(აღწერეთ სრული შეხვედრის მეთოდური ნაწილი: როგორ წარიმართა შეხვედრა, რა სტრუქტურით და თანმიმდევრობით განიხილეთ მხატვრული ნაწარმოები, რა მეთოდები გამოიყენეთ და როგორ დაუკავშირეთ ფინანსურ განათლებას. მიუთითეთ ჩატარებული აქტივობის ხანგრძლივობა)* | თავდაპირველად შევთავაზე მოსწავლეებს კონკურსის პირობები, ფინანსური განათლება ძალიან მნიშვნელოვანია, 21-ე საუკუნეში მოსწავლე სჭირდება სკოლიდანვე გამოუმუშავდეს ისეთი უნარები, როგორებიცაა: ფულის დაგროვება, ადეკვატური ნაბიჯების გადადგმა, პრაქტიკული საქმიანობის განსაზღვრა, სწორი დაგეგმირება. გავეცანით იგავს, გავარჩიეთ მისი ჟანრი, დავახასიათეთ მთავარი პერსონაჟი, დეტალიზებულად განვიხილეთ მისი წარმოსახვითი გეგმა, ვიმსჯელეთ მის შეცდომებზე, გავმართეთ დისკუსია, თუ რა შეცდომა დაუშვა გლახაკმა, რომ ფულის დაგროვება და მატერიალური სიმდიდრის შექმნა შეუძლებელია ილუზიებითა და უპასუხისმგებლობით. შემდეგ როლური თამაში გვქონდა, როგორ იპოვა გლახამ ქილა ერბო და როგორ შეადგინა ბიზნესგეგმა, ჩავატარეთ ბაზრის კვლევა, რამდენად განხორციელებადი იყო გლახაკის იდეა ინვესტიციის ჩადების შესახებ, ასევე შექმნეს დიორამა, კომიქსები. იგავ-არაკი დიდაქტიკური ხასიათისაა და მოსწავლეებმა გლახაკის მაგალითზე ისწავლეს, რომ ფუჭად ოცნება არასოდეს არაა სულიერი თუ მატერიალური სიმდიდრის დაგროვების წყარო. |
| **შედეგი / მიგნება, რომელიც დადგა / გამოიკვეთა აღნიშნული აქტივობის განხორციელების შემდეგ**<br>*(მიუთითეთ, როგორ გაზომეთ აღნიშნული შედეგი)* | მოსწავლეები მივიდნენ დასკვნამდე, რომ შრომა და სწორი დაგეგმარება, რისკების სწორი შეფასება და განსაზღვრა, პერსპექტიული ნაბიჯების გადადგმაა აუცილებელი შედეგის დადგომისთვის. ასევე:<br>• ფული თანამედროვე ცხოვრებაში უმნიშვნელოვანესია;<br>• ფუჭი ოცნებებით ვერ გავმდიდრდებით;<br>• გადიდრების შანსი რომ მიეცემა ადამიანს, ეს შანსი უნდა გამოიყენოს სწორი გათვლებით;<br>• უნდა შეიმუშავონ გრძელ ვადაზე გათვლილი ბიზნესგეგმა;<br>• გუნდურ მუშაობას კარგ შედეგებამდე მივყავართ! |